საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცი წლის თოთხმეტი ოქტომბერი . მე, ზაალ ბათუაშვილს ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი დ/მ გრ. რობაქიძის №7 მომმართა შპს " ვარკეთილი-96"-ს დირექტორმა ოთარი პირველმა (თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან მომზადების თარიღი 29/09/2020 14:16:07, საიდენტიფიკაციო კოდი № 208149779) და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად შპს " ვარკეთილი-96"-ს დირექტორმა ოთარი პირველმა (დაბადებული 10.03.1954წ. პირადი № 01010011580 რეგ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, გაზაფხულის ქუჩა, N 19, ბინა 1)მომმართა მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი. მარწმუნებელს განვუმარტე, რომ მას ნებისმიერ დროს აქვს მინდობილობის გაუქმების უფლება. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცი წლის თოთხმეტი ოქტომბერი. მე შპს " ვარკეთილი-96"-ს დირექტორი ოთარი პირველი საღ გონებაზე მყოფი, საკუთარი ნებით, ვინმეს მხრიდან რაიმე იძულების გარეშე ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ ილია სუჯაშვილს (დაბადებული 07.01.1984წ. რეგ. მისამართზე: ქალაქი თბილისი, ძმობის II ქუჩა, N 8 პირადი № 01019017859)
უფლებამოსილია შპს " ვარკეთილი-96"-ს სახელით აწარმოოს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები შპს " ვარკეთილი-96"-ს კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, აწარმოოს ნებართვის აღების საქმეები, მიიღოს და შეათანხმოს საჭირო ნებართვები და პროექტები, აწარმოოს მოლაპარაკებები, შეიტანოს ცვლილებები და/ან დამატებები შეთანხმებულ პროექტში, შეიყვანოს კომუნიკაციები (ელექტროენერგიის, გაზის (ბუნებრივი აირი), წყლის, ინტერნეტის) და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებას/შეთანხმებას, დადგას მრიცხველი, მოახდინოს აბონენტის რეგისტრაცია , ელექტრონულად ატვირთოს და ხელზე მიიღოს ყველა სახის დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ჩემსა და მერიის არქიტექტურის სამსახურში ურთიერთობებს, უფლებამოსილია მოახდინოს ფართის დაზუსტება ან/და მონაცემებში ცვლილებების შეტანა, აწარმოოს აზომვითი, სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მონაცემთა დაზუსტება კოორდინატთა სისტემაში, უძრავი ქონების მონაცემებში უზუსტობის არსებობის შემთხვევაში მოახდინოს (შეიტანოს) მათში შესწორება/კორექტირება, ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს, ჩააბაროს და გამოითხოვოს ყველა საჭირო ცნობები და მოწმობები,ინფორმაცია, ამონაწერი, ლიცენზია, ნებართვები, დაწეროს საჭირო განცხადება ან/და მიმართვა, იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, არქიტექტურულ სამსახურში, ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, საჯარორეესტრში, " იუსტიციის სახლი"-ში , წყლის, გაზის, ინტერნეტის და ელექტროენერგიის ნებისმიერ კომპანიებში, ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოებში, და ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში.
მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით
მინდობილობა შედგენილია ათ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ზაალ ბათუაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.
იმ ეგზემპლიარს რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში დანართი აქვს 1 დოკუმენტი :

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 29.12.2011წ. "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31, 10(ათი) ლარი +ერს 2(ორი) ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოსახურების ვადების დამტკიცების შესახებ მუხლი 39 პ.1) სულ 12(თორმეტი) ლარი

მიმნდობი პირი:
შპს " ვარკეთილი-96"-ს დირექტორი ოთარ პირველი

ნოტარიუსი ზაალ ბათუაშვილი